მეზობლები დარჩნენ მეზობლებად

ალმა-ათა. ცენტრალური სტადიონი. 30 აგვისტო.

“კაირატი” (ალმა-ათა) – “დინამო” (თბილისი) 1:1 (0:1).

“კაირატი”: ლისიცინი (ვოსენკოვი), მუხინი, სტეპანოვი, ფედოტოვი, კამინსკი, ფალინი, კვოჩკინი, ოსტროუშკო, ვორონჩიხინი, როჟკოვი, ვოლოხი (სეგიზბაევი).

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, პეტრიაშვილი, ცხოვრებოვი, იამანიძე, ილიადი, მეტრეველი, ასათიანი, მაისურაძე, დათუნაშვილი.

მსაჯი ნ. კირსანოვი (კიევი).

დუბლიორები – 1:1.

წლევანდელი “კაირატი” საგრძნობლად განსხვავდება იმ “კაირატისაგან”, რომელიც “ა” კლასის I ჯგუფში გამოდიოდა, ვთქვათ, ორიოდე წლის წინათ. გუნდი მომძლავრდა, ფეხზე დადგა, ახალი მოთამაშეები ორგანულად შეეწყვნენ კოლექტივს და უმტკივნეულოდ შეავსეს სუსტი ადგილები. ამის შესაბამისად, კაირატელებს მაღალი ადგილიც უკავიათ გათამაშების ცხრილში.

ალმა-ათის ფეხბურთელებს წლეულს დამარცხებული ჰყავთ ძლიერი მოწინააღმდეგეები, კერძოდ, მათ წაგების პირველი სიმწარე აგემეს “პახტაკორს” და ისიც მის მინდორზე. ყოველივე ამას გარდა, “კაირატმა” მეორე წრეში ჩაატარა სულ 1 მატჩი, ე.ი. მას მარაგში აქვს ჩასატარებელი მატჩები და ალბათ, მათთან ერთად ელის ახალი ქულებიც.

თბილისელებმა სწრაფად, ენერგიულად დაიწყეს თამაში. მასპინძლები ჯერ რიგიანად არც იყვნენ “გათამაშებული”, როცა მათ კართან ზედიზედ შეიქმნა სახიფათო მომენტები. საჭირო გახდა დაცვის ხაზების გაძლიერება თავდასხმის მოთამაშეებით, მაგრამ გუნდმა მაინც ვერ შეძლო ეხსნა თავი გოლისაგან. მე-12 წუთზე დინამოელთა ერთ-ერთი იერიში დამთავრდა გოლით: ასათიანის მიერ დარტყმული ბურთი მოხვდა ძელს და დაუბრუნდა მინდორს. მას მიუსწრო დათუნაშვილმა, რომელმაც გახსნა ანგარიში – 1:0.

თბილისელებმა ამ ერთი გოლის უპირატესობა შეინარჩუნეს ტაიმის ბოლომდე. კაირატელებმა მთელი თავიანთი ძალები გადაისროლეს შეტევაში შესვენების შემდეგ. 63-ე წუთზე “დინამოს” კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა, რომლის შესრულება გუნდმა მიანდო სტეპანოვს. “კაირატის” ამ მცველს მიმდინარე ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებში უკვე გატანილი ჰქონდა 3 ბურთი, მათ შორის – საჯარიმოდანაც. და აი, სტეპანოვმა თავის აქტივს კიდევ 1 გოლი მიუმატა. მან ზუსტად დაარტყა და ბადეში გაგზავნა ბურთი – 1:1.

დარჩენილ დროში ორივე გუნდი ადრინდელი ენერგიით იბრძოდა მოგებისთვის, მაგრამ ცვლილება ანგარიშში აღარ მომხდარა და მატჩი დამთავრდა ფრედ – 1:1. გათამაშების ცხრილის მეზობლებს – თბილისისა და ალმა-ათის გუნდებს კვლავინდებურად თანაბარი ქულები აქვთ.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).
“ლელო”, 31 აგვისტო, 1966 წ.